KA030105613754018

№ 01-12258 **31 / მაისი / 2018 წ.**

ადამიანური რესურსების მართვისა და საერთაშორისო
ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ
სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიო,

თქვენი, 2018 წლის 2 მაისის N01-9681 წერილის შესაბამისად, რომელიც ეხებოდა უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების საავადმყოფოებისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით, სხვადასხვა სამედიცინო მოწყობილობების სავარაუდო ღირებულებების დადგენას, გაცნობებთ რომ, ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ ჩატარდა ბაზრის კვლევა. ბაზრის კვლევის წერილები დაეგზავნა შპს ,,აქტივუსს", შპს ,,უნიმედს", შპს ,,თბილისი მედიკს", შპს ,,ივერმედს", შპს ,,მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისს" და შპს ,,ემტექს". შემოთავაზება მიღებული იქნა შპს ,,ივერმედიდან", შპს ,,თბილისი მედიკიდან", შპს ,,აქტივუსიდან" და შპს ,,უნიმედიდან".

შედგა შეხვედრა საქართველოში უკრაინის საელჩოს წარმომადგენელთან ბატონ პეტრო ბოგდანთან, და მისი რეკომენდაციით სატელეფონო კომუნიკაცია ლუგანსკის ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ბატონ იური ინკევიჩთან და ვალერი კაპიცასთან. ბაზრის კვლევა ჩატარდა უკრაინის მხარის მიერ მითითებულ კონკრეტულ მოდელებზე.

კვლევამ აჩვენა, რომ უკრაინის მხარის მიერ მითითებული მოდელების უმეტესი ნაწილის მწარმოებელი კომპანიების ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოში არიან შპს ,,ივერმედი" და შპს ,,აქტივუსი". დარჩენილი სამედიცინო მოწყობილობები არის მოთხოვნილის ანალოგები, რის შესახებაც ეცნობა უკრაინის საელჩოს წარმომადგენელს ბატონ პეტრო ბოგდანს სამინისტროში შეხვედრის დროს.

ბაზრის კვლევის შედეგებით, ერთეულის ღირებულებების ჯამი შეადგენს - 1 201 930.74 ლარს, ხოლო სულ მოთხოვნილი რაოდენობების ჯამი - 6 899 875.30 ლარს. თანხა არ შეიცავს თბილისიდან უკრაინაში ტრანსპორტირების ხარჯს.

დანართი წარმოდგენილია ცხრილის სახით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, ივანე ბიბილაშვილი
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი